

ხელშეკრულება № 44

ქ. ნინოწმინდა

30 მაისი 2014 წ

ერთის მხრივ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მისი თავმჯდომარის სუმბატ კიურელიანის სახით, მისამართი ქ. ნინოწმინდა პუშკინის ქ. №43 შემდგომში „შემსყიდველი“, და მეორეს მხრივ ი/მ „რაზმიკ ლუმაშიან“, მისამართი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა დონდრიო, შემდგომში „მიმწოდებელი“ შეთანხმებით შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 სოფ. დილიფის სასმელი წყლის აუზებისა და წყალსადენი სისტემის მშენებლობა 2014წ

2. სამუშაოების ღირებულება

2.1 საორიენტაციო თანხობრივი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 26042,00 ლარს

3. სტანდარტები

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს/შემსყიდველის მიერ შექმნილი კომისია/უფლება აწვეს ნებისმიერ ეტაპზე გააკონტროლოს მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, ასევე გაატაროს პერიოდული ინსპექტირება სამუშაოს სახით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის /ინსპექტირების/ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით

4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. სამუშაოების შესრულების პირობები

5.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ხელშეკრულებაში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობით არანაკლებ 70% ის ოდენობით,თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრის საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.3 შესყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით



7. ანგარიშწორება

- 7.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში
- 7.2 ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია გადარიცხოს მიმწოდებელს საბანკო ანგარიშზე პროექტის საერთო ღირებულების 50 %, ხოლო 50% სამუშაოს დასრულების და მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- 7.3 ანგარიშწორების ფორმა იქნება უნაღდო. აუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

8. ფასები

8.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დაუშვებელია.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ასევე შემსყიდველი არ არის ვალდებული წარადგინოს მტკიცებულება იმ გარემოებაზე, რასთან დაკავშირებითაც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შესყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები სხვა პიროვნებას.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ, შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციაში.

12.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

12.3 ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ვადების დაგვიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხდის პირგადასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 10% ოდენობით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ...

ა/ თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია სამუშაო.

ბ/ თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულების გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

13.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადასწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე

ა/ თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკირსი ვალდებულებების შესრულებას.

ბ/ მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.



გ/ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს შესრულებას შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფირს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფირს-მაჟორული ნიშნავს მხარეებისათვის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიყვება გამოწვეული იქნის ომიტ ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფირს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდებანაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევე მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებინა ფირს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15 სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით დაარეგულირონ ყველა უთანხმოება და ვადა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპანენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

16 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება მოქმედებს ზემოაღნიშნული თარიღიდან 2014 წლის 30 სექტემბერამდე.

17 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

“ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო”,
მდებარე: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქუჩა, №43,

ი/მ „რაზმიკ ლუმაშიან“
მდებარე: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. პ. გონდრიო

საიდენტიფ. კოდი: 236689669

საიდენტიფ. კოდი: 32001006038

ბანკი: სს“ლიბერთი ბანკი” ქ.ნინოწმინდა
კოდი: 220101494

ბანკი: სს“პრივატ ბანკი” , ქ.ნინოწმინდა
კოდი: 220101702

ა/ა: GE51LB0120146257122000

ა/ა: GE7TP0036010070003139

მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სუმბატ კიურელიან

მიმწოდებელი რაზმიკ ლუმაშიან

